

ინფორმაცია განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ.

### 1. რა სახის ენერგია მიეკუთვნება განახლებადი ენერგიის წყაროებს?

განახლებადი ენერგიის წყაროებს მიეკუთვნება დედამიწის ბიოსფეროს უწყვეტად განახლებადი ენერგიის წყაროები. მათ მიეკუთვნება მზის, ქარის, წყლის (ჰიდრომაკუმილერებელი სადგურების გარდა), წყლის ტალღების მიქცევა-მოქცევის, გეოთერმული ენერგია; ასევე მიწის, ჰაერის, წყლის დაბალპოტენციური ენერგია, განსაკუთრებული თბომცვლელების გამოყენებით; ბიომასა, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ნახშირწყალბადოვანი სათბობის გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენების გარდა; ასევე ბიოგაზი; გაზი, რომელიც გამოიყოფა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან; გაზი, რომელიც გამოიყოფა ქვანახშირის მაღაროებიდან.

### 2. რა უპირატესობა გააჩნია განახლებადი ენერგიის წყაროებს ტრადიციულთან შედარებით?

ტრადიციული ენერგეტიკა დაფუძნებულია წიაღისეული სათბობის გამოყენებაზე, რომელთა მარაგები შეზღუდულია. ისინი დამოკიდებული არიან მოწოდების სიდიდეზე, ფასის დონეზე, ბაზრის კონიუქტურაზე. განახლებადი ენერგეტიკა ეფუძნება ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა სახეობას, რაც საფუძველს იძლევა დავხოგოთ არაგანახლებადი ენერგიის წყაროები და ისინი გამოყენებული იქნან მხოლოდ განსაკუთრებული დანიშნულებისათვის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების პროცესში პრაქტიკულად არ არის ნარჩენები, ჰაერში და წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევა და ჩაშვება. არ არსებობს მის მოპოვებაზე და ტრანსპორტირებაზე დანახარჯები.

### 3. განახლებადი ენერგიების რომელი წყაროებია ყველაზე მეტად გავრცელებული?

მსოფლიოში – ჰიდროენერგეტიკა. აქტიურად ვითარდება ქარის ენერგეტიკა.

### 4. რატომ არის განახლებადი ენერგეტიკა ნაკლებად მიმზიდველი ვიდრე ტრადიციული ენერგეტიკა?

სშირ შემთხვევაში (გარდა ჰიდროენერგეტიკისა და გეოთერმული ენერგეტიკისა) განახლებადი ენერგიის წყაროების ენერგიას აქვს ძალიან გაძნეული მახასიათებელი და ელექტროენერგიის რაოდენობის წარმოების ნაწილში ჩამორჩება ტრადიციულ ენერგეტიკას, რადგან ის დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე (ამინდზე) და არ შეუძლია შეცვალოს სიმძლავრე ოპერატორის მოთხოვნის მიხედვით. მათგან განსხვავებით ჰიდროენერგეტიკასა და გეოთერმულ ენერგეტიკას ასეთი ნაკლი არ გააჩნიათ.

### 5. გამოიწვევს თუ არა განახლებადი ენერგეტიკის განვითარება ელექტროენერგიაზე ფასების მატებას?

განახლებადი ენერგიის წყაროების მხარდაჭერი ღონისძიებები გულისხმობენ

განახლებადი ენერგიის ელექტროსადგურებიდან (ჰიდროელექტროსადგურების გარდა) მიღებულ ელექტროენერგიაზე უფრო მეტი ფასის განსაზღვრას ვიდრე სხვა სადგურებში წარმოებულ ელექტროენერგიაზე, შესაბამისად მომავალში ის იქონიებს გავლენას ელექტროენერგიის ფასზეც, მისი წილის ზრდასთან ერთად.

## 6. როგორია ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციის ხანგრძლიობა? არსებობს თუ არა მათი უტილიზაციის პრობლემები?

ძირითადი ჰიდროენერგეტიკული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხანგრძლიობა პრაქტიკულად არის მუდმივი. ესპანეთში დღემდე ექსპლუატაციაშია ქვანაყარი კაშხლები, რომლებიც აშენებულია რომაელების მიერ. შესაბამისად მათი უტილიზაციის პრობლემები არ არსებობს.

## 7. რა უპირატესობა გააჩნიათ ჰიდროელექტროსადგურებს?

ჰესები იყენებენ განახლებადი ენერგიის წყაროს, მათ არ სჭირდებათ საწვავი და არ გააჩნიათ წარმოების პროცესში ნარჩენები. საექსპლუატაციო დანახარჯები შედარებით მცირეა, ამიტომ ჰეს-ში წარმოებული ელექტროენერგიის თვითლირებულება (დანახარჯების გამოსყიდვის შემდეგ) ბევრად მცირეა ვიდრე თბო ან ატომურ ელექტროსადგურებში. ბევრი ჰესის წყალსაცავები გამოიყენება არა მარტო ენერგეტიკული თვალსაზრისით არამედ ისინი გამოიყენებიან წყალმომარაგების, წყალდიდობებისაგან დაცვის, სარწყავი და სხვა მიზნებისათვის. ჰიდროაგრეგატები შეიძლება გაიშვას მუშაობაში ძალიან მცირე დროში, არიან მეტად მანევრირებადები. ამიტომ ენერგოსისტემისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. შედეგად მაღლდება ენერგოსისტემის საიმედო ფუნქციონირება და ენერგომომარაგების ხარისხი.

## 8. რატომ აქვთ ჰესებს დადგმული სიმძლავრის გამოყენების დაბალი კოეფიციენტი?

დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რეალური გამომუშავება რამდენად შეესაბამება დანადგარების შესაძლებლობებს. თუ სადგური მუშაობს წლის განმავლობში განუწყვეტლივ, მაშინ მისი დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი ტოლია 100-ის. ეს მაჩვენებელი ჰესებს თბო და ატომურ სადგურებთან შედარებით მცირე აქვთ ორი მიზეზის გამო:

- მდინარის ჩამონადენი არათანაბარია და მუდმივად სრული დატვირთვით მუშაობს მხოლოდ წყალდიდობების დროს.

- ხშირად ჰიდროაგრეგატების რაოდენობას და, შესაბამისად, სიმძლავრესაც ზრდიან, რათა საჭიროების დროს (მოხმარების მკვეთრად გაზრდის შემთხვევაში) სწრაფად მოხდეს რეზერვში მყოფი აგრეგატის მუშაობაში შეყვანა.

## 9. არსებობს თუ არა ჰესები წყალსაცავების გარეშე?

ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც აშენებულია კლასიკური დერივაციული სქემით ან საერთოდ არ აქვთ წყალსაცავები, ან აქვთ ძალიან მცირე მოცულობის.

მაგრამ წყალსაცავების გარეშე ჰესები მთლიანად დამოკიდებულია მდინარის ჩამონადენზე და მის ცვლილებაზე და, შესაბამისად, მოკლებული არიან მდინარის

ჩამონადენის რეგულირების საშუალებას და ენერგოსისტემის მოთხოვნის მიხედვით ელექტროენერგიის გამომუშავების რეგულირებას. წყალდიდობის პერიოდში ასეთი სადგურები სრულად ვერ იყენებენ წყლის პოტენციალს და უწევთ წყლის უქმად დაღვრა, ხოლო წყალმცირობის დროს ელექტროსადგური მკვეთრად ამცირებს სიმძლავრის სიდიდეს და შესაბამისად ელექტროენერგიის გამომუშავებას. ამდენად მიზანშეწონილია როგორც ტექნიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით წყლის აკუმულირება და მისი ეფექტური გამოყენება.

#### 10. არის მოსაზრება, რომ წყალსაცავებში მკეთრად უარესდება წყლის ხარისხი და ის გარდაიქმნება ჭაობად?

წყალსაცავებში წყლის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია მასში შემავალ წყლის ხარისხს. ხშირად წყალში ჩაშვებული საწარმოებიდან არასაკმარისად გაწმენდილი ნარჩენების მოცულობა იმდენად დიდია, რომ ის მკეთრად აუარესებს წყლის ხარისხს და იწვევს მის ყვავილობას. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი წყალსაცავი ხელს უწყობს წყლის ხარისხის გაუმჯობესებას, ის მუშაობს როგორც დიდი სალექარი. ძალიან ხშირად წყალსაცავებს იყენებენ სასმელი წყლის მომარაგების მიზნებისათვისაც. ხშირად წყალსაცავებში წყლის ხარისხი უარესდება მისი წყლით შევსების პირველ პერიოდში, შემდეგ ის სტაბილურდება და ხარისხი უმჯობესდება. მნიშვნელოვანია მშენებლობის პროცესში მაქსიმალურად იყოს შესრულებული პროექტით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

#### 11. რატომ არის ჰესები უფრო მეტად ეკოლოგიური ვიდრე სხვა ტრადიციული ელექტროსადგურები?

ჰესების მუშაობას თან არ სდევს ატმოსფეროსა და წყლების დაბინძურება. მსოფლიოში 2010 წელს ჰესებში წარმოებული იყო 3 409,661 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგია. ამ რაოდენობის ელექტროენერგიის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა დაახლოებით 1 022, 9 მლრდ.ტნ პირობითი სათბობი, ხოლო ატმოსფეროში გაიტყორცნებოდა 1 637 მლრდ. ტნ მავნე ნივთიერებება.. ამასთან საჭირო იქნებოდა ამ საწვავის მოპოვება, დასაწყობება, ტრანსპორტირება, რაც იქნებოდა დამატებითი ხარჯები. ჰესების მანევრულობა მნიშვნელოვნად ოპტიმიზერებულს ხდის ენერგოსისტემის მუშაობას. ხელს უწყობს თბოსადგურების ოპტიმალურ რეჟიმებში მუშაობას და მათ ეფექტურობას.

#### 12. წყალსაცავების მშენებლობების დროს იგბორება საკმაოდ დიდი ტერიტორიები. რამდენად მიზანშეწონილია ეს ქმედება?

მიწის ღირებულება, დანიშნულებისა და ხარისხის გამო მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე ღირებულია სასოფლო სამეურნეო მიწები და მიწები, რომლებიც განსაკუთრებულად არის დაცული სახელმწიფოს მიერ. ამავე დროს არსებობს ნაკლებად ღირებული მიწის დიდი მასივები, რომლების ძალიან მცირედ ან საერთოდ არ გამოიყენებიან სამეურნეო საქმიანობაში. მკაცრი კლიმატი, რელიეფის სირთულე და სხვა ბუნებრივი შეზღუდვები არ იძლევიან მჭიდროდ დასახლებისა და მისი ათვისების საშუალებას. ამდენად, მიზანშეწონილია, ასეთი მიწის ათვისება.

#### 13. წყალსაცავები უარყოფითად მოქმედებენ თევზის რესურსზე?

წყალსაცავების შექმნისას მიმდინარეობს მდინარის ეკოსისტემის გარდაქმნა, მდინარის ბიოცენოზი იცვლება წყალსაცავის ბიოცენოზით. ახალ პირობებში თევზების უმრავლესობიდან ზოგიერთი განიცდის რაოდენობის შემცირებას, ზოგიერთი პირიქით - მკვეთრად ზრდის რაოდენობას. საერთო ჯამში წყალსაცავებში საკვები ბაზის გაზრდასთან ერთად თევზების რაოდენობაც იზრდება, ვიდრე ეს იყო მდინარის პირობებში. ამავე დროს, ხშირად ძვირფასი ჯიშის თევზები კარგავენ დირებულებებს. არსებობს მთელი რიგი დონისძიებები, რომლებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ გაიზარდოს როგორც თევზის რაოდენობა ისე შენარჩუნებული იქნას მისი ხარისხიც. ხშირ შემთხვევაში ეწყობა თევზსავლები, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ხელოვნურად თევზის გამრავლება და მათი გაშვება პიდროკვანის ქვედა ბიეფში. თუ მდინარეს გააჩნია განსაკუთრებული თევზსარეწი დანიშნულება, მაშინ ჰქების მშენებლობა უნდა იქნას მაქსიმალურად ოპტიმიზირებული ან უარი ითქვას მის მშენებლობაზე (ეს საკითხი განიხილული უნდა იქნას პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პერიოდში).

#### 14. წყალსაცავების შექმნით დატბორვის ზონაში ნადგურდება არსებული ბიოცენოზი. რამდენად არის ეს დასაშვები?

ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გარდაუვალს ქმნის არსებული ბიოცენოზის შეცვლას, ან უფრო უარესიც - მის განადგურებას. მასშტაბურია სოფლის მეურნეობის გავლენა, რომელიც ყოველწლიურად ანადგურებს უზარმაზარ ფართობებზე მრავალ მცენარესა და ცხოველს რამდენიმე სახეობის ფლორა - ფაუნის პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად.

წყალსაცავების შექმნისას ხდება მდინარეების, ტყეებისა და ჭალების ბიოცენოზის შეცვლა და ტრანსფორმირება, თავის მხრივ უნიკალური წყალსაცავის ბიოცენოზით. წყალსაცავების განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, ასეთი ბიოცენოზი უახლოვდება ან მდინარის ან ტბის ბიოცენოზს. ასევე უნიკალური ბიოცენოზი ყალიბდება წყალსაცავის ზემოქმედების ზონაში. წყალსაცავების ბიოცენოზის ღირებულებები (ფასეულებები) შეიძლება იყოს ძალიან დიდი. (მაგ. წალკის წყალსაცავი)

#### 15. ხშირად აცხდებენ, რომ ჰქებიდან გამოსული წყალი ტბორავს სოფლებს და ნაოქებებს. ჰქების მუშაობა პროვოცირებას უკეთებს წყალდიდობებს?

წყალდიდობებს იწვევს არა ჰქების მუშაობა არამედ, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, დროის მოკლე მონაკვეთში დიდი რაოდენობის ნალექის მოსვლა, ან დიდი თოვლის მასების სწრაფი დნობა. წყალსაცავის ერთერთი ფუნქცია არის სწორედ წყალდიდობების თავიდან აცილება, ან მოსალოდნელი ზარალის მინიმუმამდე შემცირება. ჰქების წყალსაცავებს უნდა გააჩნდეთ მნიშვნელოვანი მოცულობა, რათა ასეთ დროს მოხდეს წყლის აკუმულირება. რაც დიდია წყალსაცავის მოცულობა მით მეტია წყალდიდობებით მოსალოდნელი ზარალის შემცირების ალბათობა. წყალდიდობებთან ბრძოლის უკელაზე კარგი მეთოდია წლიური რეგულირების წყალსაცავების შექმნა.

#### 16. განვითარებული ქვეყნები უარს ამბობენ დიდი ჰქების მშენებლობაზე?

არის ასეთი ტენდენცია განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ამის მიზეზია არსებული რესურსების ამოწურვა და ისეთი ადგილების არ ქონება სადაც ჰქების მშენებლები იქნება

მშენებლობა. მაგ. ევროპაში უკვე ათვისებულია რესურსების დახლოებით 70 %. მიუხედავად ამისა, მაინც მიმდინარეობს მშენებლობები. მაგალითად 1998 წელს შევიცარიაში ექსპლუატაციაში შევიდა 1269 მგვტ სიმძლავრის ჰესი. 2009 წელს ისლანდიაში ექსპლუატაციაში შევიდა 690 მგვტ სიმძლავრის ჰესი. კანადაში მიმდინარეობს 1570 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა და ა.შ.

## 17. მსხვილი წყალსაცავები პროვოცირებას უკეთებენ მიწისძვრებს?

მეცნიერებს შორის ერთი აზრი არ არის. დაზუსტებულად დადგენილია რომ ზოგიერთი წყალსაცავის შექმნის შემდეგ, სეისმურად საშიშ რაიონებში გაიზარდა მცირე სიმძლავრის მიწისძვრების შემთხვევები. ამ მოვლენას ზოგიერთი მეცნიერი განმარტავს, როგორც „**გამოწვეული**“ სეისმურობა, სხვები კი როგორც დედამიწის ქრქის დაძაბულობისგან განტვირთვას, რომლებიც ამცირებენ კატასტროფული მიწისძვრების რისკს. დაფიქსირებულია მძლავრი მიწისძვრების შემთხვევები, რომლების შეიძლება დაკავშრებული იყოს წყალსაცავების შევსებასთან. აქ გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ ეს წყალსაცავები არიან ძალიან დიდი მოცულობების. საერთოდ ასეთი ეფექტები არის ძალიან მცირე, დაახლოებით 1-2 %-ს ფარგლებში. ევროპის ქვეყნებში ასეთი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

## 18. ახდენენ თუ არა წყალსაცავები კლიმატზე გავლენას?

წყალსაცავები, დიდი მოცულობის წყლის დაგროვების გამო, წარმოადგენს თავისებურ სითბოს მაკუმილერებელს და მიკროკლიმატზე ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას. ამავდროულად ეს გავლენა დამოკიდებულია წყალსაცავის მოცულობაზე, სარკის ფართზე და მის ადგილმდებარეობაზე. ზოგადად ეს გავლენა არ არის მნიშვნელოვანი და მას გააჩნია ლოკალური ხასიათი. ჰესის ქედა ბიეფში კლიმატზე გავლენა უფრო ლოკალური ხასიათისაა. მთიან რეგიონებში წყალსაცავების ადგილობრივ კლიმატზე გავლენა ბევრად მცირეა.

## 19. რაში გამოიხატება წყალსაცავების გავლენა მიკროკლიმატზე?

წყალსაცავები ათანაბრებენ როგორც დღეღამის ასევე წლის ტემპერატურათა შორის სხვაობას. საერთოდ იწვევს სითბურ ეფექტს, ასევე ამცირებს კონტინენტალურ კლიმატს, რითაც მას ხდის უფრო კომფორტულს. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ზრდის, ხოლო გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ამცირებს ტემპერატურას. წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე იზრდება ტენიანობა. ნალექების მოცულობაზე წყალსაცავების გავლენა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, მაგრამ მისი გავლენა უმნიშვნელოა. ეს ახასიათებთ დიდ წყალსაცავებს, რომლებიც გაშლილია მრავალ ათეულ კმ 2-ზე. ასეთი გავლენა საქართველოში არსებულ და მშენებარე ჰესებს არ გააჩნიათ.

## 20. როგორც ცნობილია მდინარეებს თან მოაქვთ დიდი ოდენობის ნატანი, რა აზრი აქვს წყალსაცავების მშენებლობას, თუ ის მაინც უნდა შეივსოს ნატანი?

წყალსაცავები, როგორც ბუნებრივი ტბები, ნელნელა ივსება ნატანით, მაგრამ მსხვილ წყალსაცავებზე ეს პროცესი მიმდინარეობს ნელა. ნატანით შევსების პროცესი

ძალზედ აქტუალურია, განსაკუთრებით მცირე წყალსაცავებისათვის, რადგან მთის მდინარეებს მოაქვს დიდი ოდენობის ნატანი. ამ პრობლემებთან ბრძოლის მეთოდებია: პერიოდული რეცხვები, რომლის დროსაც ნატანი ხვდება ქვედა ბიეფში; ნატანის მექანიკური მოშორება, მაგალითად მიწისხაპია მოწყობილობების გამოყენება და სხვა.

## 21. რამდენად უსაფრთხოა ჰესების კაშხლები?

ჰესების კაშხლები წარმოადგენენ საიმედო ობიექტებს. ავარიები კატასტროფული შედეგებით ძალზედ მცირეა. კაშხლების (გარღვევა) დაზიანების ფაქტები ფიქსირდებოდა 19-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც იმ დროისათვის არ იყო საკმარისი გამოცდილება ჰესების პროექტირებასა და მშენებლობაში. ჰესების ძირითადი ობიექტები პროექტირდება სიმტკიცის მნიშვნელოვანი რეზერვებით. მსხვილმა ჰესებმა უნდა გაუძლოს ყველაზე დიდ მოსალოდნელ წყალდიდობას, რომელიც შეიძლება განმეორდეს 10 000 წელიწადში ერთხელ. ჰესების ობიექტები მუდმივი დაკვირვების ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.

## 22. როგორია ჰესების კაშხლების დანგრევის ალბათობა მიწისძვრების მიზეზით?

ჰესების ძირითადი ნაგებობების პროექტირება ითვალისწინებს ტერიტორიის სეისმურობას, განსაზღვრული რეზერვირებით. პრაქტიკაში აჩვენა, რომ ჰესების კაშხლები ძალიან მედეგები არიან მიწისძვრების მიმართ. მიწისძვრების მიზეზით კაშხლების დაზიანების ფაქტები დაფიქსირებულ არაა. მსოფლიოში უამრავი ოდენობის სხვადასხვა კონსტრუქციის მაღალი კაშხალია და მათი მდგრადობა ეჭვს არ იწვევს.

23. გამოყოფენ თუ არა წყალსაცავები მნიშვნელოვანი ოდენობის ნახშირორუანგს ატმოსფეროში?

წყალსაცავების შექმნიდან პირველ წლებში ფიქსირდება ნახშირორუანგის ემისიები, დატბორილ ტერიტორიაზე დარჩენილი ორგანიზმებისა და მცენარეების ხრწნის მიზეზით. შემდეგ კი სიტუაცია სტაბილირდება. წყალსაცავებში ასევე შეიძლება მიმდინარეობდეს მდინარიდან მოხვედრილი ორგანული ნარჩენები, ამ მხრივ წყალსაცავი არ განსხვავდება ჩვეულებრივი მდინარისა და ტბისაგან. წყალსაცავების ძირში ნატანის დალექვის შედეგად კონსერვაციას განიცდის დიდი ოდენობის ნახშირწყალბადები ორგანული ნივთიერებებისა და კარბონანტების სახით, რომელიც არ ხვდება ატმოსფეროში.

## 24. რატომ არის საჭირო ჰესების მშენებლობისათვის ხანგრძლივი პერიოდი?

ეს დაკავშირებულია ჰიდროენერგეტიკული ობიექტების სირთულესა და მნელად მისადგომ ადგილებში მათ განთავსებასთან. ჰესების მშენებლობა, განსაკუთრებულად კი მსხვილი ჰესების, წარმოადგენს რთულ საინჟინრო-ტექნიკურ ამოცანას, მილიონობით ტონა გრუნტის გადამუშავებასა და დიდი ოაოდენობის ბეტონის ჩასხმასთან დაკავშირებით, ასევე გვირაბების გაყვანასთან დაკავშირებით. მშენებლობის ვადების შემცირება შესაძლებლია ფინანსური უზრუნველყოფისა და მშენებლობის სწორი ორგანიზების შემთხვევაში.

## 25. როგორია პესების მშენებლობის ეკონომიური ეფექტი?

პესების მშენებლობა ჩვეულებრივ უფრო ძვირი ჯდება ვიდრე იგივე სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა. ამავე დროს, პესების ექსპლუატაცია ბევრად უფრო იაფი ჯდება ვიდრე თბოსადგურებისა და ატომური სადგურების ექსპლუატაცია. არ საჭიროებს საწვავს, მცირეა ხარჯები რემონტზე, ასევე მცირეა მომსახურე პერსონალის ოდენობა. დიდ დიაპაზონში მანევრირების გამო პესები გამოიმუშავებენ მნიშვნელოვანი ოდენობის ძვირადირებულ პიკურ ელექტროენერგიას. იმის შემდეგ რაც პესი გამოისყიდის მშენებლობის ხარჯებს, ელექტროენერგიის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. თავდაპირველი დიდი კაპიტალური ხარჯებისა და გამოსყიდვის დიდ პერიოდის გამო საჭიროა მოზიდულ იქნას ხანგრძლივი ვადით პროცენტიანი კრედიტები.

## 26. რით განსხვავდება ჩვეულებრივი, კლასიკური პესი პიდრომააკუმილერებელი პესისაგან?

პიდრომააკუმილერებელი პესი, კლასიკური პესისაგან განსხვავდით, მუშაობს არა მხოლოდ ტურბინის რეჟიმში, არამედ ის მუშაობს ასევე ტუმბოს რეჟიმშიც. რომლის დროსაც წყალს აქაჩავს ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფში. პიდრომააკუმილერებელი პესი შედგება წყალსადენებისაგან, რომლებიც ქმნის ქვედა ბიეფსა და ზედა ბიეფს, მათი დაკავშირებული წყალსადენებისაგან, პიდრომააკუმილერებელი პესის შენობისაგან, სადაც განთავსებულია შექცევადი პიდრომაგრეგატები. კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიხედვით ზედა და ქვედა ბიეფებად შეიძლება გამოყენებული იქნას არსებული ან ახლად შექმნილი წყალსაცავები, ტბები ან ზღვაც კი. ჩვეულებრივ პესებთან შედარებით დატბორვის არეალი მცირეა. არსებობს ასევე პესი-ჰაერი, რომელთაც გააჩნიათ ორივეს დამახისიათებელი ნიშნები.

პიდრომააკუმილერებელი პესები საჭიროა ენერგოსისტმის საიმედო მუშაობისათვის, განსაკუთრებით ნაკლებად მანევრირებადი ენერგოსისტემებისათვის. დამე, როდესაც სისტემის დატვირთვა კლებულობს, პიდრომააკუმილერებელი პესი მუშაობს ტუმბოს რეჟიმში და აქაჩავს წყალს ზედა ბიეფში. დილით და საღამოთი, სიმძლავრის მაქსიმარლური მოხმარების დროს, ისინი მუშაობენ ტურბინულ რეჟიმში და გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას. წყლის ზედა ბიეფში აქაჩივისა (ტუმბოს რეჟიმში მუშაობის დროს) და ტურბინულ რეჟიმში მუშაობის დროს არსებობს დანაკარგები, რის გამოც პიდრომააკუმილერებელი პესის მარგი ქმედების კოეფიციენტი შეადგენს დახლოებით 75 %. პარამეტრები არ არის ელექტროენერგიის მიმართ უფრო მოიხმარს ელექტროენერგიას ვიდრე აწარმოებს.

## 27. რაში მდგომარეობს მიკრო და უკაშელო პესების არსი?

ასეთ პესებს აქვთ გამარტივებული კონსტრუქცია და ყველაზე ხშირად მათი მონტაჟი ხდება ძნელად მისადგომ და მთიან ადგილებში, მცირე და დასახლებულ პუნქტებში, ფერმერულ ობიექტებზე ავტონომიური კვების განხორციელების მიზნით.

არსებობს უფრო მცირე პესებიც, რომლებიც გამოიყენებიან მეცხოველეობის და გეოლოგიური პარტიების ელმომარაგებისათვის. ზოგადად ასეთი პესები ქსელში არ ჩაირთვებიან, ჩართვის სიძვირის გამო. უკაშელო პესები ძირითადად განთავსდებიან მდინარის კალაპოტში და იყენებენ მდინარის დინების ენერგიას. არსებობს ასეთი პესების უამრავი კონსტრუქცია, მაგრამ დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის, დიდი

ხვედრი ღირებულების, ქსელში ჩართვისა და ექსპლუატაციის სირთულეების გამო მათ ვერ პოვეს გავრცელება.

## 28. როგორ არის განვითარებული მცირე პესები მსოფლიოში?

2008 წლი მონაცემებით, მსოფლიოში იყო მცირე პესები 85 გვტ – დადგმული სიმძლავრით. ლიდერი ქვეყანაა ჩინეთი – 55 გვტ – დადგმული სიმძლავრით, ექსპლუატაციაში იმყოფება 45 ათასი მცირე პესი. აქტიურად ვითარდება მცირე ენერგეტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაშიც.

## 29. როგორია მცირე პესების ნაკლი და უპირატესობა კლასიკურთან შედარებით?

მცირე პესების მშენებლობისას არ იქმნება მნიშვნელოვანი მოცულობის წყალსაცავები, შესაბამისად არ საჭიროებს მიწის დიდი ნაწილის დატბორვას და ხალხის გადასახლებას, ინფრასტრუქტურის ობიექტების გადატანას. მცირე პესების მშენებლობის ვადები და ღირებულება ბევრად მცირეა ვიდრე ჩვეულებრივი პესების.

ამავე დროს, მცირე პესების ელექტროენერგიის გამომუშავება ბევრად არის დამოკიდებული მდინარის ჩამონადენზე – წყალმცირობის დროს პესის გამომუშავება მკვეთრად მცირდება ან საერთოდ წყვეტენ დროებით მუშაობას. მცირე პესების გამომუშავება განსაკუთრებით მთის მდინარეებზე ძალიან მკვეთრ ცვლილებას განიცდის, დღედამის განმავლობაში ნალექების ცვლილებების მიხედვით.

## 30. რაზეა დაფუძნებული ზღვის მოქცევის ელექტროსადგურების მოქმედების პრინციპი?

მოქცევის ელექტროსადგურები (მეს) გამოიყენებენ ზღვების მიმოქცევის ენერგიას, რომელიც აღიძვრება თავისი ღერძის ირგვლივ მბრუნავი დედამიწის მთვარესა და მზესთან გრავიტაციული ურთიერთქმედების შედეგად. მთვარის მოქცევები ორნახევარჯერ ძლიერია მზის მოქცევებზე. ხშირ შემთხვევებში შესაძლებელია მოხდეს მზისა და მთვარის მოქცევების შეთავსება ურთიერთგაძლიერებით ან შესუსტებით.

დია ზღვაში ტალღა არ არის მაღალი და პრაქტიკულად არ შეიგრძნობა, მაგრამ სანაპიროებთან ახლოს მისი სიმაღლე შესაძლოა საგრძნობლად გაიზარდოს და მიაღწიოს რამდენიმე მეტრს, რაც იძლევა საშუალებას მოქცევით გადაადგილებული წყლის ენერგია გამოყენებულ იქნას მეს-ებზე ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

მოქცევებს, ისევე როგორც მიქცევებს, ადგილი აქვს დღეში ორჯერ წინასწარ ცნობილ დროს. ასევე ცნობილია მათი სიმაღლე და კანონზომიერი ცვლილება თვის განმავლობაში. რის შედეგადაც მეს-ებს აქვთ მუშაობის მკაფიო და უცვლელი გრაფიკი დღედამეში ელექტროენერგიის ოთხჯერ მიწოდებით ენერგოსისტებმაში.

## 31. როგორია მოქცევის ენერგეტიკის პოტენციალი?

ამჟამად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეფექტურად მიიჩნევა არანაკლებ 48 სიმაღლის მოქცევების გამოყენება. მოქცევების სიმაღლე ძლიერ არის დამოკიდებული სანაპიროს კონფიგურაციისაგან. შიგა ზღვებში, მაგალითად შავ და ბალტის ზღვებში, მოქცევები არ არის დიდი. როგორც წესი უდიდესი მოქცევები წარმოიშვებიან კონტინენტის სიღრმეში დრმად შეჭრილ უურეებში, მათ შორის

მდინარეების შესართავებში. მოქცევების უდიდესი სიმაღლე (18 მ-მდე) შეინიშნება კანადაში, ყურე ფანდში.

მეს-ების მშენებლობისათვის პერსპექტიული ადგილები არის რუსეთში, დიდბრიტანეთში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, არგენტინაში, აშშ-ი. სულ დაახლოებით 80 კვეთი. მთლიანად მოქცევის ენერგიის გამოსაყენებლად ეფექტური პოტენციალი დღეს განისაზღვრება 450 მლრდ.კვტსთ წელიწადში, შემდგომში მოქცევის ელექტროსადგურების სრულყოფის შესაბამისად მისი სიდიდე შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

### 32. რაში მდგომარეობს მოქცევის ენერგეტიკის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები?

მოქცევის ელექტროსადგურების უპირატესობები:

გამოიყენებენ ენერგიის განახლებად წყაროს;

აწარმოებენ ნარჩენებს;

არ იწვევენ მიწების დატბორვას და პრაქტიკულად არ იკავებენ მიწებს, რადგანაც მთლიანად განთავსდებიან ზღვების აკვატორიებში;

მინიმალურად აზიანებენ ტურბინის გავლით გადაადგილებულ თევზებსა და პლანქტონებს.

მეს-ის უარყოფით მხარეს წარმოადგენს სადგურის მუშაობის მკაცრი გრაფიკი, ენერგიას ენერგოსისტემაში გასცემს არა თანაბრად, არამედ ოთხი პიკით დღედამის განმავლობაში. რამდენიმე გიგავატი სიმძლავრის განსაკუთრებით მსხვილი მეს-ების მშენებლობის პროექტების რეალიზაციისას ასეთმა გრაფიკმა შეიძლება შექმნას პრობლემები ენერგოსისტემისათვის და მოითხოვოს დამატებითი მარეგულირებელი სიმძლავრეების მშენებლობა, მაგალითად ჰაეს-ის სახით. როგორც არსებული მეს-ე ბის ექსპლუატაციის გამოცდილებამ აჩვენა, მათი ნაგებობა ახდენს განსაზღვრულ გავლენას ადგილობრივ ზღვის ბიოცენოზე, თუმცა ეს ცვლილებები არ იწვევენ ბიოცენოზის დეგრადაციას.

### 33. როგორ არის მოწყობილი მოქცევის ელექტროსადგური?

კლასიკური მეს-ი შედგება კაშხლისაგან, რომელიც მოკვეთს ყურეს ზღვისგან და შენობისაგან პიდროაგრეგატებით. მოქცევის დროს წყალი გადაადგილდება ყურეში მეს-ის პიდროაგრეგატების გავლით, მოქცევისას- პირუკუ, ამასთანავე მიმდინარეობს ელექტროენერგიის გამომუშავება. გამომუშავების დღედამური უთანაბრობის გასასწორებლად შესაძლებელია ყურეს გაყოფა ჯებირებით რემდენიმე აუზად, მაგრამ ასეთი სქემა პრაქტიკაში არ გამოიყენება მაღალი ლირებულების გამო.

მეს-ის შენობაში ჩვეულებრივ აუენებენ შედარებით მცირე სიმძლავრის პორიზონტალურ კაფულებიან პიდროაგრეგატებს, რომლებიც დაბალწნევიან ჰეს-ებში განლაგებული პიდროაგრეგატების ანალოგიურები არიან, ან ორთოგონალურ პიდროაგრეგატებს.

ბოლო დროს საცდელ ექსპლუატაციაში შეყვანილია უკაშელო კონსტრუქციის რამდენიმე მოქცევითი ელექტროსადგური.

ასეთი მეს-ი ძალიან ჰგავს წყალში ჩაძირულ ელექტროდანადგარებს. ისინი შედგებიან მეტალის კოშკისაგან, რომელთანაც მიმაგრებულია როტორი ფრთებით (ნიჩებით??). არის მეს-ების სხვა კონსტრუქციული წინადადებებიც (მაგალითად, რხევითი

მოქმედების), მაგრამ პრაქტიკაში ისინი არ არიან რეალიზებული.

### 34. რამდენად არის განვითარებული მოქცევის ენერგეტიკა მსოფლიოში?

წყლის წისქვილები, რომლებიც მუშაობენ მოქცევის ენერგიაზე, ცნობილია შუა საუკუნეებიდან. მიუხედავად ამისა, ამჟამად მოქცევის ენერგეტიკამ ვერ მიიღო ფართო განვითარება და წარმოდგენილია რამოდენიმე ექსპერიმენტული ელექტროსადგურით.

ამავდროულად მასზე ინტერესი მუდმივად იზრდება.

მსოფლიოში შედარებით მსხვილი მოქცევის ელექტროსადგურია ფრანგული „რანსი”, სიმძლავრით 240 მვტ, რომელიც გაშვებულია 1966წელს. ასევე ექსპლუატაციაშია „ანაპოლისიმესი” კანადაში (სიმძლავრე 20მვტ). „**Jiangxia**“ ჩინეთში, სიმძლავრით 3,2 მვტ და **Uldolmik** სამხრეთ კორეაში. გარდა ამისა, აშენდა კიდევ რამოდენიმე ექსპერიმენტული მცირე სიმძლავრის მოქცევის ელექტროსადგური ნორვეგიასა და დიდბრიტანეთში.

მნიშვნელოვან ინტერესს მოქცევის ენერგეტიკის მიმართ ამჟღვნებს სამხრეთი კორეა, სადაც დამამთავრებელ ეტაპზეა მეს-ი **Sihwa**, სიმძლავრით 254 მვტ და დაგეგმილია კიდევ ექვსი მსხვილი მეს-ის აშენება.

### 35. რატომ ვერ მიიღო მოქცევის ენერგეტიკამ ფართო განვითარება?

ძირითადი მიზეზი – მეს-ების ნაკლები ეკონომიკური მიზიდულობა ტრადიციულ ელექტროსადგურებთან შედარებით. დიდი სიმძლავრის კლასიკური მეს-ი მოითხოვს განვენილ (დიდი სიგრძის) კაშხალს, შენობის მშენებლობას ზღვის აკვატორიაში. შედარებით მცირე დაწნევები წყლის დიდი ხარჯების დროს მოითხოვენ დიდი რაოდენობის მსხვილი და ძვირი პიდროაგრეგატების გამოყენების აუცილებლობას.

### 36. როგორია მზის ენერგიის პოტენციალი?

მზის ენერგეტიკას გააჩნია კოლოსალური პოტენციალი, რაც ბევრად აღემატება კაცობრიობის როგორც თანამედროვე, ასევე პერსპექტიულ მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე. დედამიწის სფეროს მხოლოდ 0,7% რომ დაიფაროს მზის ბატარეებით მინიმალური მქე 10%, მათ მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება გადააჭარბებს მსოფლიოს უკელა ელექტროსადგურის გამომუშავებას. პიდროენერგეტიკას, ქარენერგეტიკას, ბიოენერგეტიკას საფუძვლად ასევე უდევს მზის ენერგია, რომელიც იხარჯება წყლის აორთქლებაზე, პაერის მასების გახურებასა და მცენარეების ფოტოსინთეზის პროცესზე.

დედამიწის ლერძის დახრის და მასთან დაკავშირებით წყლიწადის დროთა ცვლის შედეგად მზის ენერგიის უდიდესი საშუალო წლიური ნაკადი მოდის ეკვატორის მიმდებარე მხარეებზე—აფრიკაზე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაზე, ავსტრალიაზე, ინდოეთზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე. რესერტში მზის ენერგეტიკის განვითარებისათვის შედარებით პერსპექტიულია ქვეყნის ევროპული ნაწილის სამხრეთი.

### 37. რაში მდგომარეობს მზის ენერგეტიკის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები?

მზის ენერგეტიკა იყენებს პრაქტიკულად უშრები ენერგიის განახლებად წყაროს, ელექტროენერგიის წარმოების პროცესში ფაქტობრივად არ ხდება გარემომცველ სფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოტანა. მზის ბატარეა შეიძლება

დაყენდეს პრაქტიკულად ნებისმიერ ხელსაყრელ ადგილას.

მზის ენერგიის უარყოფით მხარეებს შორის უნდა აღინიშნოს გამომუშავების ძლიერი დამოკიდებულება დღედამის, სეზონის დროზე, ამინდის პირობებზე. ენერგოსისტემაში მზის ( და სხვა არარეგულირებადი) ენერგეტიკის შედარებით მცირე წილის ( 10% ფარგლებში) დროს ეს დამოკიდებულება არ ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს.

არსებით ნაკლს წარმოადგენს მზის ენერგეტიკის მაღალი დირებულება და, შესაბამისად, დაბალი ეკონომიკური ეფექტურობა.

მსხვილი მზის ელექტროსადგურებისათვის პრობლემად შესაძლებელია გადაიქცეს მზის ბატარეების დაბინძურება მტკრით, თოვლით, თრთვილით.

### 38. როგორ გარდაიქმნება მზის ენერგია ელექტროობად?

პრაქტიკული გამოყენება პპოვა მზის გამოსხივების ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნის ორმა ხერხმა: ფოტოელექტრულმა და ჰელიოთერმულმა.

ფოტოელექტრული პრინციპი დაფუძნებულია ელექტრული დენის გამომუშავებაზე ფოტოელექტრების საშუალებით, უპირატესად სილიციუმების, რომლებიც იკრიბება პანელებში. მარტივია ფოტოელექტრების პანელების მონტაჟი, მომსახურება და შესაძლებელია მათი განლაგება ნებისმიერ ხელსაყრელ ფართობზე (ვოქვათ, სახლის სახურავზე), რის გამოც მზის ენერგეტიკამ ფოტოელექტრების პრინციპზე მიიღო შედარებით დიდი გავრცელება.

ჰელიოთერმული ხერხი დაფუძნებულია მზის სხივების კონცენტრაციაზე სხვადასხვა ფორმის სარკეების საშუალებით. მზის სხივების კონცენტრაციის წერტილში განალაგებენ თბოშემცველს, (მაგალითად, წყალს), რომელიც გარდაიქცევა ორთქლად და მოჰყავს ტურბინა მოქმედებაში. მეორე ვარიანტი— მზის სხივების კონცენტრაცია თბურ მანქანაში, მაგალითად, სტირლინგის ძრავაზე.

### 39. როგორია მსოფლიო მზის ენერგეტიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები?

2009 წლის ბოლოს მსოფლიოში მხოლოდ ფოტოელექტრული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე ბოლო ათი წლის განმავლობაში გაიზარდა დაახლოებით 20 ჯერ და შეადგენდა დაახლოებით 23 გვტ. 2010 წელს ფოტოელექტროსადგურებზე შეევანილ იქნა დაახლოებით 10გვტ სიმძლავრე. 2009 წლის ოქტომბერში ექსპლუატაციაში შევიდა მსოფლიოში ერთერთი უმსხვილესი ფოტოელექტრული სადგური – **Sarnia** კანადაში, სიმძლავრით 80მვტ. მზის ელექტროსადგურების სიმძლავრის დაახლოებით 70% განლაგებულია ეკონაკაში, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც ფოტოელექტრებზე ელექტროსადგურების ერთობლივად სიმძლავრემ გადააჭარბა 10გვტ.

აქტიურად ვითარდება ჰელიოთერმული ენერგეტიკაც, განსაკუთრებით აშშ და ესპანეთში, აშშ-ი ჯერ კიდევ 1991 წელს გაშვებულ იქნა სრულ სიმძლავრეზე მსოფლიოში უმსხვილესი მზის ელექტროსადგური, სიმძლავრით 354 მვტ, ხოლო 2010 წელს დაიწყო კალიფორნიაში 1000გვტ სიმძლავრის ჰელიოთერმული ელექტროსადგურის მშენებლობა. ესპანეთში 2009-2010 წლებში შევიდა ექსპლუატაციაში ექვსი მსხვილი ჰელიოთერმული ელექტროსადგური საერთო სიმძლავრით 450მვტ. რუსეთში მომუშავე მზის ელექტროსადგურები ენერგოსისტემაში არ არის.

### 40. როგორია მზის ენერგეტიკის ეკონომოკური გვექტურობა?

ფოტოელექტრული ელექტროსადგურის დირებულება განისაზღვრება პირველ რიგში

მაღალი სიწმინდის სილიციუმის ღირებულებით, რომლებიც გამოიყენება ფოტოელემენტების წარმოებაში, და ფოტოელემენტის მქა-ით, რომელიც შეადგენს ყველაზე უფრო გავრცელებული ფოტოელემენტებისათვის დაახლოებით 15%-ს. პროგნოზირდება ფასების მნიშვნელოვანი შემცირება ფოტოელემენტებზე და მქა-ის ზრდა მაღალი სიწმინდის სილიციუმის წარმოების გაფართოებასთან და ფოტოელემენტების უფრო ეფექტური კონსტრუქციების სამრეწველო ათვისებასთან დაკავშირებით.

ჰელიოთერმული სადგურების ეკონომიკური ეფექტურობა ძლიერ არის დამოკიდებული მათი განლაგების ადგილზე და აღწევს მაქსიმუმს ცხელ უდაბნო ადგილებში. მთლიანობაში მზის ენერგეტიკის ეკონომიკური ეფექტურობა მეტ შემთხვევებში ჩამოუვარდება როგორც ტრადიციულ ენერგეტიკას, ასევე სხვა განახლებად ენერგეტიკულ წყაროს.

მზის ენერგიის პროექტების ამოგების უზრუნველყოფა განვითარებულ ქვეყნებში ხდება სახელმწიფო მხარდაჭერისა და სუფსიდირების სხვადასხვა ფორმებით.

#### 41. ფოტოელემენტების წარმოება წარმოადგენს ეკოლოგიურად უკიდურესად საშიშს?

საკუთრივ ფოტოელემენტების წარმოება ეკოლოგიურად უკნებელია და მცირედ განსხვავდება მიკროელექტრონიკის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. როგორც წესი, დავას იწვევს მაღალი სიწმინდის სილიციუმის წარმოება (ეგრეთ წოდებული პოლიკრისტალური სილიციუმი), რომელიც აუცილებელია ფოტოელემენტების წარმოებისათვისათვის. მათი წარმოების საყოველოა მიღებული ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ქლორის გამოყენებას და სილიციუმის ქლორიდების (ქლორისლანების) წარმოქმნას. რომლებსაც გააჩნიათ საკმარისად მაღალი ტოქსიკურობა. ამავე დროს ეს ტექნოლოგია კარგად არის დამუშავებული, ფუნქციონირებს შეკრული ციკლით და არ ახლავს გარემოში საშიში დამაბინძურებელი ნივთიერებების გამონაბოლქვი, წარმოადგენს ეკოლოგიურად უსაფრთხოს. პოლიკრისტალური სილიციუმის მწარმოებელი ქარხნები განლაგებულია იაპონიაში, აშშ, იტალიასა და გერმანიაში, რომლებიც ცნობილნი არიან ეკოლოგიური კანონმდებლობის სიმკაცრით.

#### 42. მზის ელექტროსადგურებს უჭირავთ დიდი ფართობები, არის თუ არა ეს ნაკლი?

როგორც წესი, ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგურების განლაგება ხდება ნაგებობებზე ( მაგალითად, სახლების სახურავებზე) ან სხვადასხვა ნაკლებადლირებულ მიწებზე, სუსტად ან საერთოდ გამოუყენებელ, ვთქვათ, ციცაბო ფერდობებზე. მსხვილი ჰელიოთერმული ელექტროსადგურების შექმნის თანამედროვე პროექტების უმეტესობა ითვალისწინებს მათ განლაგებას უდაბნო ან ნახევრადუდაბნო ზოლებში.

მზის ელექტროსადგურების მიერ დაკავებული მიწები არ განიცდიან დეგრადირებას. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მზის ელექტროსადგურების დემონტაჟი სწრაფად და იოლად, ხოლო მიწების გამოყენება სხვა მიზნებისათვის. ამავე დროს თბო და ატომური ელექტროსადგურები შენობებით, ასევე მათი თანმდევი ინფრასტრუქტურით (წყალსატევები, ნაცარნაყარი და ა.შ.) დაკავებული მიწები, თუმცა იკავებენ ნაკლებ ფართს ერთეულ სიმძლავრეზე გაანგარიშებით, ამასთან სრულად და ძალიან დიდი ხნით გამოირიცხებიან ბრუნვიდან.

#### 43. რა არის გეოთერმული ენერგეტიკა?

გეოთერმული ენერგეტიკა იყენებს დედამიწისიული წიაღის სითბოს, წარმოშობილს ელემენტების რადიოაქტიური დაშლისას, ასევე შენახულს დედამიწის ფორმირების მოქნებიდან. ჩვეულებრივ პირობებში ტემპერატურა იზრდება სიღრმით დაახლოებით 25–30 °C –თ კილომეტრზე, თუმცა მნიშვნელოვან ტემპერატურამდე გახურებული მთის ქანები იმყოფებიან მიწის ზედაპირთან შედარებით ახლოს.

გეოთერმული ენერგია შესაძლებელია იყოს ორთქლის, ცხელი თერმული წყლების, ორთქლისა და წყლის (ორთქლპიდროთერმი) ნარევის სახით წარმოდგენილი. პრაქტიკაში ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად გამოიყენება ორთქლი, ორთქლპიდროთერმი და თერმული წყლები.

ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა, გეოთერმული რესურსები ფართოდ გამოიყენება თბომომარაგებისათვის. ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ თერმული წყლები ან მშრალი ქანების სითბო. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება თბური ტუბოები.

#### 44. როგორია გეოთერმული ენერგეტიკის პოტენციალი?

გეოთერმული ენერგეტიკის თეორიული შესაძლო პოტენციალი კოლოსალურია, თუმცა ის ძირითადად წარმოდგენილია მთის ქანების დაბალპოტენციალური სითბოთი.

მისი გამოყენება ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის თანამდეროვე პირობებში ტექნიკურად რთულად რეალიზებადია და ეკონომიკურად არახელსაყრელი. შედარებით დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს თერმული წყლების მარაგები და განსაკუთრებით ორთქლპიდროთერმი, რომლებიც აკრავს ვულკანური აქტივობის რაიონებს.

გეოთერმული რესურსებით მდიდარიაისლანდია, აშშ, მექსიკა, იტალია, ფილიპინები, იაპონია, ინდონეზია, ახალი ზელანდია.

მსოფლიო გეოთერმული ენერგეტიკა აქტიურად ვითარდება. 2005 წლიდან 2010 წლამდე გეოთერმული ელექტროენერგიის (გეოეს) საერთო სიმძლავრე გაიზარდა 20%-ით, უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელია 70%-იანი ნაზარდი.

#### 45. რამდენად არის მსოფლიოში განვითარებული გეოთერმული ენერგეტიკა?

2010 წლის მდგომარეობით გეოთერმული ელექტროსადგურები საერთო სიმძლავრით 10715 მვტ მუშაობდა 24 ქვეყანაში. გეოთერმული ენერგეტიკის სფეროში ლიდერობს ა.შ.შ., რომელსაც გააჩნია ამ წიაპის 77 ელექტროსადგური საერთო სიმძლავრით 3086 მვტ. შემდეგ მოდის ფილიპინები–1904 მვტ, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგომარების დაახლოებით 18%-ს. გეოეს-ის მნიშვნელოვანი სიმძლავრეები (400-დან 900 მვტ-დე) მოქმედებენ ინდონეზიაში, მექსიკაში, იტალიაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიასა და ისლანდიაში.

#### 46. როგორ ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება გეოთერმულ ელექტროსადგურებზე?

არსებობს გეოთერმული ელექტროსადგურის ორი სქემა— ერთკონტურიანი და ბინარული. ერთკონტურიანი სქემა გამოიყენება მაღალი და საშუალო ტემპერატურული გეოთერმული თბოშემცველის გამოყენებისას, ბინარული— უფრო დაბალი პარამეტრების

(100-მდე) თბოშემცველის დროს.

ერთკონტურიანი სქემის დროს ორთქლისა და წყლის განცალკევების შემდეგ და ორთქლის მინარევებისაგან გაწმენდის აუცილებლობის შემთხვევაში ორთქლი მიეწოდება ორთქლის ტურბინას.

ბინარული ციკლი გულისხმობს ორი კონტურის არსებობას: პირველში გეოთერმული თბოშემცველი ახურებს თბოგადამცემში დუღილის დაბალი ტემპერატურის მქონე მუშა სხეულს, რომელსაც მეორე კონტურში მოჰყავს ტურბინა მოქმედებაში, კონდენსირდება და ბრუნდება თბოგადამცემში.

მსოფლიოში ბინარული ენერგობლოკის (დანადგარი **უეფ- 90/0,5**) პირველი საცდელი ნიმუში იქნა შევანილი ექსპლუატაციაში რუსეთის ფედერაციაში პარატუნის გეოთეს-ში 1967წელს. მუშა სხეულად გამოყენებული იყო ფრეონი-12. ბლოკის დადგმული ელექტრული სიმძლავრე შეადგენდა 750კვტ-ს. ბინარული ციკლი იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად თერმული წყლები. კერძოდ 2006 წელს აშშ-ში ექსპლუატაციაში შევანილ იქნა 57 ც ტემპერატურის თერმიულ წყალზე მოქმუშავე გეოესი.

თანამედროვე გეოთერმული ელექტროსადგურებში გადამუშავებული თერმული წყლები, ასევე ორთქლისაგან წარმოქმნილი კონდენსატი, აუცილებლად გადაიქაჩება უკან მთის ქანებში სპეციალური ჭაბურღილების (რეინჟერაციის ჭაბურღილები) საშუალებით. გარდა გადაგდებული წყლების უტილიზაციის პროცესისა, ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს გეოთერმული თბოშემცველების მარაგების შევსებას.

გეოთერმული თბოშემცველები შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა აირებს, მაგალითად, გოგირდწყალბადსა და ნახშირორჟანგს. თანამედროვე გეოთერმულ ელექტროსადგურებს გააჩნიათ გამწმენდი სისტემები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აირების უდიდესი ნაწილის გამოფრქვევას. ნახშირორჟანგის რადაც რაოდენობა შეიძლება ატმოსფეროში შევიდეს, მაგრამ ჩვეულებრივ თბოელექტროსადგურთან შედარებით ეს გამოფრქვევები უმნიშვნელოა.

#### 47. როგორია გეოთერმული ენერგეტიკის ეკონომიკური ეფექტი?

გეოთერმული ენერგეტიკა, პიდროენერგეტიკის თანატოლად, წარმოადგენს შედარებით უფრო მაღალკონკურენტუნარიან ენერგიის განახლებად წყაროს. გეოთერმული ელექტროსადგურის ეკონომიკური ეფექტი დამოკიდებულია გამოყენებული თბოშემცველის ტემპერატურისაგან: რაც უფრო მაღალია ის, მით უკეთესია გეოთერმული ელექტროსადგურის ეკონომიკური მაჩვენებლები. მის უარყოფით მხარეს მიეკუთვნება საბადოების ძიებაზე მაღალი ხარჯები და ჭაბურღილების დებუტის დაცვა.

გეოთერმული ენერგეტიკის განახლებადი ხასიათის გათვალისწინებით, მსოფლიო პრაქტიკაში მისთვის შემოღებულია სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები, განსაკუთრებით აქტუალური პროექტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ შედარებით დაბალტემპერატურიანი თერმული წყლების გამოყენებას.

#### 48. რამდენად არის განვითარებული მსოფლიოში ქარის ენერგეტიკა?

2009 წლის მდგომარეობით მსოფლიოს ყველა ქარის ელექტროსადგურის (ქს) ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით 158 გვტ. ქარის ენერგეტიკაში ლიდერობენ: აშშ-35 გვტ, შემდეგ გერმანია – 26 გვტ და ჩინეთი – 25 გვტ.

დღეს ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 2% მოდის ქს-ზე. რიგ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია. დანიაში ქარის

ელექტროსადგურები უზრუნველყოფენ ელექტროენერგიის გამომუშავების დაახლოებით 20%-ს, ესპანეთსა და პორტუგალიაში – 10%-ზე მეტს.

ქარის ენერგეტიკა ვითარდება დინამიურად. 2005 წლის ჩათვლით აშშ-ში ქეს საერთო სიმძლავრე გაიზარდა 3,9-ჯერ, საფრანგეთში – 5,6-ჯერ, ჩინეთში – 19,8-ჯერ.

პროგნოზირდება დარგის შემდგომი აქტიური განვითარება. მაგალითად, 2020 წლისათვის ევროპავშირი გეგმავს მიიღოს ელექტროენერგიის დაახლოებით 15% ქარის ელექტროსადგურებიდან, ხოლო მასში შემავალი ზოგიერთი ქვეყნები კიდევ უფრო მეტს. ირლანდია გეგმავს მიაღწიოს ამ დროისათვის ქეს-ზე გამომუშავებას ქვეყანაში ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებიდან 40%-ის დონეზე.

#### 49. როგორია ქარის ენერგეტიკული პოტენციალი?

მსოფლიო ეკონომიკურად ეფექტური ქარის პოტენციალი შეადგენს 72000 გვტ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე მოთხოვნებს. ეკონომიკურად ეფექტურად ითვლება ქარელექტროსადგურების გამოყენება, როდესაც ქარის საშუალოწლიური სიჩქარე 50მ სიმაღლეზე ტოლია 6,4 მ/წმ. შედარებით ხშირად ასეთი პირობები იქმნება სანაპირო ზონებში.

#### 50. რამდენად სერიოზულია ქარის ენერგეტიკული დანდგარით გამოწვეული ხმაური?

ხმაურის პრობლემა არსებობდა ქარის დანადგარების პირველი თაობის დანადგარების პირობებში დიდი ხნის წინ. დღეის მდგომარეობით თანამედროვე დანადგარებით გამოწვეული ხმაური 200-250 მეტრის დაშორებით შეადგენს 50 დბ-ს, რაც შეადგენს საცხოვრებელი პირობების დონეს. 350 მ –ის დაშორებით ხმაური კარგავს ფონს. როგორც წესი ქარის დანადგარებს ამონტაჟებენ 300-350 მ დაშორებით საცხოვრებელი სახლებიდან, რაც სრულად წყვიტავს ხსენებულ პრობლემას.

სამწუხაროდ დანადგარების მუშაობის დროს ადგილი აქვს ფრინველებისა და ღამურების სიკვდილის ფაქტებს, მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა. შედარებით მეტი ფრინველი იხოცება მაღლივ შენობებზე და ანძებზე, კოშკებზე, ელექტროგადამცემ ხაზებზე, ავტომანქანებზე შეჯახების გამო. ასეთი შემთხვევების მინიმიზაციის მიზნით ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა უნდა განხორციელდეს ფრინველების მიგრაციის ზონებიდან მოშორებით.

#### 51. ქარის ელექტროსადგურების მუშაობისას წარმოიქმნება საშიში ინფრაბგერები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ცოცხალ არსებებზე მათ შორის ფრინველებზეც?

დაბალსიხშირული ბგერების წარმოშობას ადგილი ქონდა ძველი წარმოების ქარის დანადგარებში. ეს პრობლემები უკვე აღმოფხვრილია დანადგარის ფრთების ოპტიმიზაციის შედეგად. დღეის მდგომარეობით თანამედროვე დანადგარები არ გამოყოფენ ინფრაბგერებს.

#### 52. რატომ განათავსებენ ქარის ელექტროსადგურებს განვითარებული ქვეყნები ზღვის აკვატორიაში? ხომ არ გააჩნია უარყოფითი ეკოლოგიური გავლენა ზღვის ბიოცენოზზე?

ქარის ელექტროსადგურების ზღვის აკვატორიაში განთავსებას გააჩნია შემდგი პლუსები:

- ზღვის აკვატორია გამოირჩევა ძლიერი და სტაბილური ქარებით;

- არ არის მიწის გამოსყიდვის (ყიდვის) აუცილებლობა;
- გამოირიცხება ქარის ელექტროსადგურის ხმაურის და სანახაობრივი პრობლემები;
- მცირდება ფრინველების სიკვდილიანობა და თითქმის სრულად გამოირიცხება ღამურების სიკვდილიანობა;

**53. რა უპირატესობა გააჩნია ქარის ელექტროსადგურებს სხვებთან შედარებით?**

ქარის ელექტროსადგურების ძირითადი უპირატესობებია:

- განახლებადი და პრაქტიკულად უწყვეტი ენერგიის წყაროს გამოყენება;
- ექსპლუატაციის პერიოდში რაიშე გაფრქვევების არ არსებობა;
- უმნიშვნელო გავლენა ადამიანების ცხოვრების პირობებსა და ბიოცენოზზე;
- სათბობზე დანახარჯების არ არსებობა;

დავით შარიქაძე